აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 8

31/07/2026 **ქ. ბათუმი**

არასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენი განცხადებების, დამკვირვებელთა სიებისა და დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის ფორმების/შინაარსის დადგენის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის 24 ივლისის №5 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დადგინდეს არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში:

1. ადგილობრივ დამკვირვებელთა რეგისტრაციის შესახებ განცხადებისა და დამკვირვებელთა სიის ფორმები და შინაარსი დანართი №1-ის შესაბამისად;
2. საერთაშორისო დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ განცხადებისა და დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის ფორმები და შინაარსი დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლის 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	პაატა კეშელავა
კომისიის მდივანი	ტარიელ გოგიტიძე